მამალი

,,წუხელ ღამე იმ მამალმა

ყივილით, რომ გაათია.

არ იცის, რომ დილის მაცნე

მაღვიძარა საათია?

ახლა ყივილს ვინღა უსმენს,

ნუთუ ვერ გრძნობს, სულ სხვა დროა?

მისი ჟამი წასულა და

აწ არასდროს აღარ მოვა!".

ნუნუკელას საყვედურმა

მამალი კი შეაწუხა,

მაგრამ წყენა დამალა და

დამშვიდებით უპასუხა:

მე დაქოქვა არ მჭირდება

და არც დენით გამოკვება,

ჩემს თავს რკინა, რომ არჩიე

მაოცებს და გული მწყდება.

ვარ ცოცხალი მაღვიძარა

და ბუნება მომიწოდებს.

ღმერთმა ნუ ქნას ქვეყანაზე

ჩემი ხმა რომ არ ისმოდეს.

რაც არ უნდა ყვავილებით

მოიქარგოს მთა და ბარი,

სად მამალი არა ყივის

იქ, სიცოცხლე აღარ არის.

ლუარა ჭანტურია

მაღვიძარა მამლაყინწა

დილით ყივის მამლაყინწა,

ყელი სულ მთლად ჩაეხრინწა,

ღობის წვერზე შემომჯდარი,

მთავარსარდლის შესადარი,

წამოდექით პატარებო!

დაიბანეთ პირი,ხელი,

ივარჯიშეთ, ისაუზმეთ,

და სკოლისკენ ჰერი, ჰერი!

პეტიკო და სერგუნიკა,

მარი,სოფო, ნინიკო,

დღე გათენდა, ტანთ ჩაიცვით,

ყიყლიყოოო და ყიყლიყოოოო!

იქეთ რაღაც ხმაურია,

კაკანი და გნიასი,

რა ხდებაო?-გამოცვივდნენ,

მედეა და ნიაზი.

ბებოს ცეცხლი დაუნთია,

დაუმხია ზედვე კეცი,

დედლები ფრთებს ისწორებენ,

დაუდვიათ უკვე კვერცხი,

აქეთ ძაღლი აყეფდა,

ფაფა უკვე გაკეთდა?

მამლაყინწა ყივის ისევ,

ახმაურდა მთელი ეზო,

აბა ჩქარა პაწიებო,

სალამი უთხარით მზესო,

ჩაის სვამენ თინა, მარი,

ხელ-პირს იბანს ბიჭი ბესო,

ბექა ჩანთა მოიკიდე!

შეახსენებს ძმას, ძმა რეზო.

ჩვენ საათი რად გვინდა?

ყიყლიყო გვყავს მამალი,

სოფლის გაღვიძებაში,

აღარა ჰყავს ბადალი.

მანანა ტონია

ფისო

ფისუნია, ძილისგუდა,

ჩხუბის ღირსი არა ხარ?

მუდამ გძინავს, თაგუნამ კი

ყველაფერი გადახრა.

არა, ფისო, ჯერ არა ვარ

შენისთანას მნახველი,

ამდენ ძილში, ჩემო კარგო,

სულ გაგიტყდა სახელი.

იცი, რა თქვეს შენზე გუშინ,

თემურიმ და გოგიამ?

- ასეთ კატას, ჩვენო ნანა,

სათაგური სჯობია.

ნოდარ დუმბაძე

ფისუნია კატა

ფისუნია კატა,

მაგიდაზე ახტა,

გადმოაგდო ვაზა,

ბებო გააბრაზა.

უცნობი ავტორი

კრუხი

ახლოს მისვლას არ დამაცლის,

იკივლებს და იწივლებს,

თითქოს რამეს ვუპირებდე

თავყვითელა წიწილებს.

ეს რა ავი კრუხი არის,

როგორ შემომაფრინდა!

ამის შემდეგ მე მაგასთან

ლაპარაკიც არ მინდა.

შენიაო წიწილები,

თუგინდ მითხრათ ასჯერაც,

სანამ კრუხს არ მომაშორებთ,

არავისი არ მჯერა.

ნოდარ დუმბაძე

ბოჩოლა

ჩვენმა ძროხამ ხბო მოიგო,

იცით რა პატარა?!

მე, ბოჩოლას დაბადებამ

ძაან გამახარა.

შვლის ნუკრივით ლამაზი აქვს,

თვალები და დრუნჩი;

მოცახცახე, წვრილ-ფეხება,

ჩავიხუტე გულში.

ვიშ! რა თბილი ბოჩოლაა,

დედი! მე მოუვლი!

ნახე, როგორ მოვეწონე?!

ამილოკა შუბლი!

მამი! მინდა, ეს ბოჩოლა,

გაიზარდოს დიდი;

შარშანდელ ბოჩოლასავით,

ხომ არ გამიყიდი?!

ელიზბარ გაბუნია

თიკანი

ეს თიკანი - ეს ცანცარა,

ვენახს სტუმრობს წარამარა,

თხას აღზრდილი დაუწუნეს,

სოფელი რომ გაამწარა.

ნათია აბულაძე

მურია

ქუჩაში, ეზოს გადაღმა,

რად დარბის ძაღლი მურია?

აკი გვასწავლეს, რომ ისიც,

ცხოველი შინაურია.

მანანა ტონია

კრუხ-წიწილა

გაავდარდა, წვიმს და ქუხს,

თან ბნელა და არის გვიან,

თბილ ბუმბულში ჭროღა კრუხს,

წიწილები შეყუჟვიან.

გინდ კაწრავდეს ელვა ცას,

ნეტავ ვისღა ედარდება,

სიმყუდროვით დედის ფრთას

ვერაფერი შეედრება.

კობა ჭუმბურიძე

ღრუტუნა

გამოისხამს მუხა რკოს

კენწეროზე, მაღლა, შორს,

რკო ასხია ყველა რტოს,

ეღიმება დაბლა ღორს.

ძირს ჩამოყრის ქარი რკოს,

ასეთია ბუნება,

რომ ღრუტუნას შეეძლოს

პირის ჩატკბარუნება.

კობა ჭუმბურიძე

ჩვენი ეზო

ძაღლი

ძაღლი ჩვენს სახლს დარაჯობს,

დარბის, დარბის, ყეფს,

ღამით _ ჰამ-ჰამ, _ იძახის,

ფხიზლად ძინავს დღე.

აქვს თავისი ბუნაგი,

სულ არ არის მსუნაგი.

კატა

კატა კნავის, კრუტუნებს.

ვის აშინებს?

-წრუწუნებს!

უყვარს თევზი, ყველი, რძე.

-კიდევ? – კიდევ თბილი მზე!

ძროხა

-ძროხას რა აქვს? - აბა, ვთქვათ.

- კუდი, ცური, ორი რქა!

- მუ,მუ, რას ძოვს? – ბალახს,

გვაძლევს რძეს და კარაქს.

-კიდევ? – ყველს და მაწონს,

არაჟანს და ხაჭოს.

ვირი

ბევრს შრომობს და

ბევრსაც ყვირის

ჯიუტია ჩვენი ვირი.

ყი-ყო, ყი-ყო, ყროყინებს

დააქვს მძიმე ტვირთი,

ოთხი ფეხი, ორი ყური

კუდი? _ ერთი! მიხვდი!

თხა

მე-მე, მე-მე, კიკინებს

წვერცანცარა თხა.

აქვს რქები და ტკბილი რძე,

და თიკანიც ჰყავს.

ცხვარი

ცხვარი ბღავის, ბე-ბე-ბე!

აქვს ფუმფულა მატყლი

რძით და ყველით აავსო

ცხვარმა მწყემსის სახლი.

ცხენი

ცხენს აქვს კუდი, ფაფარი,

ტვირთს უზიდავ პატრონს.

ძოვს ბალახს და ჭიხვინებს

საჯინიბოს ახლოს.

ღორი

ღორი ღრუტ-ღრუტ, ღრუტუნებს

ჭამა უყვარს ძალიან.

ლაფში გორავს მსუქანა,

დიდია და მრგვალია.

მამალი

თავქოჩორა მამალს

აქვს წითელი ბიბილო,

საქათმეში პირველმა

მან უნდა დაიყივლოს:

ყი-ყლი-ყოოოოოოოოოოო

ქათამი

კა-კა-კა-კა კაკანებს

საქათმეში ქათამი

კვერცხი დადო ბუდეში.

ესეც კარგი ამბავი!

იხვი

იხვს რა უყვარს? - წყალი,

ნელა ცურავს, ყვინთავს,

ვახ-ვახ, ვახ-ვახ, რა კარგია

არ აჩერებს ნისკარტს.

ბატი

ბატი დადის ნელა,

ყი-ყი, ყი-ყი, ყიყინებს,

ბატის თეთრი ბუმბული

ბალიშისთვის იყიდეს.

ინდაური

გაიფხორა ინდაური,

მერე ფრთები გაშალა.

"ყურლუმ-ყურლუმ"დაიძახა,

სხვას ჭამა არ აცალა.

რა აკენკა? _ ფეტვი.

მეტს არაფერს გეტყვი.

მარიამ წიკლაური

ძაღლი და კატა

ერთხელ ერთი ავი ძაღლი

გამოენთო კატას,

კატა მარჯვედ გაუხტა და

შეაცოცდა პანტას.

ხის ტოტიდან ჩამოსძახა

– რას მერჩიო, ძაღლო?

ძაღლი უყეფს – აღარ გნახო

სახლის ახლო-მახლო.

მე ვდარაჯობ კარ-მიდამოს,

არა მძინავს ღამით,

სანაცვლოდ კი სალაფავს თუ

მომიგდებენ ჯამით.

შენ კი მგონი აღარც გახსოვს

საქმე, შენი წილი,

მხოლოდ ორი რამე იცი

– კრუტუნი და ძილი.

მე ეზოში დავძუნძულებ,

წვიმს, ცხელა თუ ყინავს,

შენ სუსნაობ ბუხრის პირას,

სამართალს კი სძინავს.

კატამ უთხრა – შე სულელო,
ნუ ფუცხუნებ ასე,
შენც ჩემსავით გაინაზე,
თავი დაიფასე.

სულ თვალში რომ შესციცინებ
და კუდს უქიცინებ,
დარაჯობ და ერთგულობ და
ღამით არ იძინებ.

გაუძვირე ერთგულება,
გახდი ჩემი მსგავსი,
რაც იოლად იშოვნება,
იმას არ აქვს ფასი.

მოერია მურას ბრაზი,
კბენს და ფხოჭნის პანტას
– ეგ მაკლია, რომ ნაგაზი
დავემსგავსო კატას.

დღესაც ასე კინკლაობენ,
აბა მათ რა დაღლის,

ჩვენც, ზოგს კატის აზრი მოგვწონს,

ზოგსაც კიდევ – ძაღლის.

კობა ჭუმბურიძე

ძაღლის ჩივილი

ვინ მოიგონა ნეტავ

ძვალი უყვართო ძაღლებს…

ჰოდა, გვიგდებენ ამ ძვლებს,

ხორცს აღარავინ გვაძლევს.

და ვინც იჯერებს ასეთ

დაუჯერებელ აზრებს,

მარტო ძვალზე და წყალზე

თვითონ რამდენ ხანს გაძლებს?

კობა ჭუმბურიძე

***

ისე უყვარს თამაში

პაწაწუნა კატის კნუტს,

სხვა რომ ვერა იპოვნა,

ჩაუსაფრდა თავის კუდს.

კობა ჭუმბურიძე

***

ვირუკელას ყროყინმა

შეაწუხა სოფელი,

მაგრამ, დახეთ, როგორი

ამაყია მშობელი:

– ჩვენებური სიმღერა

არ არისო ადვილი,

აბა ყური დაუგდეთ,

ტალანტია ნამდვილი.

ხედავთ, როგორ მიყუჩდა

ირგვლივ ყველა სულდგმული?

სხვა სოფელში გაფრინდა

დარცხვენილი ბულბული.

კობა ჭუმბურიძე

***

ბავშვებს ურქენს თიკანი,

გაიხარეს ბავშვებმა,

არვის არ ეშინია,

ყველა ეთამაშება.

სულ ტყუილად ირბინა,

იბუცა და ირქინა,

ბოლოს გაიბუტა და

ჩუმად ჩაიკიკინა:

– კი ბატონო, დამცინეთ

სასაცილო ლექსებით,

რქები რომ ამომივა,

მერე სად გამექცევით?

კობა ჭუმბურიძე

***

ყვავს ბახალა ეკითხება:

როდის მოვა თოვლი, ბები?

– შენ რას დარდობ?

– რას და თოვლში

უფრო შავი გამოვჩნდები…

კობა ჭუმბურიძე

რა ჰქვიათ პატარებს

მოდით ბავშვებო, ჩემოვყვეთ,

რომელ პატარას რა ჰქვია,

დათვი რომ დაიბადება,

განა მაშინაც დათვია.

პატარა დათვი ბელია,

ლეკვი – პატარა მგელია,

ლიფსიტა თევზის შვილია,

ნუკრი – პატარა შველია.

კურდღლის შვილია ბაჭია,

ბაცაცა – ციცქნა ბოცვერი,

პატარა ღორი გოჭია,

პატარა ლომი – ბოკვერი,

კამეჩის პირმშო -ყოყინა,

პატარა ბატი – ჭუჭული,

პატარა თაგვი – წრუწუნა,

პატარა ვირი – ჩოჩორი,

ძროხის ნაშიერს ხბო ჰქვია,

კატის შვილი კი კნუტია,

პატარა ცხვარი – კრავია

პატარა მტრედი – ხუნდია,

პატარა ცხენი – კვიცია,

ხოხბის პატარა — ლაპია,

არწივის შვილი – მართვეა,

ზაზუნას შვილი – ღლაპია,

წიწილა ქათმის შვილია,

ფოთრი – პატარა ჯიხვია,

პატარა სპილო – სპლიყვია,

ბჟიტი – პატარა იხვია.

შევარდნის შვილი – ქულაა,

ფარშევანგისა – ნამლევი,

ინდაურისა – ჭუკია,

კოზაკი – ნორჩი აქლემი,

პატარა თხაა ციკანი,

ბარტყი – პატარა შაშვია,

ყვავის შვილია ბახალა,

ადამიანის – ბავშვია,

უჰ! დავიღალე, ამდენი

არც კი მახსოვდა, თუ იყო.

ნეტავი კუს შვილს რა ჰქვია,

კუსუსუნა თუ კუიკო?

კობა ჭუმბურიძე